# [illegible]

## სურათებიანი დამატება

...ЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

დამატების № 6. | კვირა, 23 აპრილი, 1906 წ. | გაზეთის № 17.

### მწერლობის ავაზაკებს

(რუსულიდან)

ვისაცა სურს, ის გაჩუმდეს,
მე არ ძალმიძს მოთმინება,
ვით ხანჯალი ჩემი სიტყვა
ფხას იშლის და ილესება!

—

თქვენ გევბნებით მწერლობისა
გამყიდველნო, ავაზაკნო,
სიფლიდისა, ქვემძრომობის
მორჩილნო და ამხანაგნო!

—

შორს! მოსცილდით ჩვენს მოედანს,
აქ არა გაქვთ თქვენ ადგილი,
აქ პოეტის საფლავია
და ზიზღს გითვლით მის აჩრდილი!

—

თქვენ ჯერ ქვეყნად არ იყავით,
როს გადასწყდა მისი ბედი,
სამსხვერპლოს წინ, როცა მგოსანს
წაუხარეს ურცხვად ქედი!

—

მაგრამ თქვენი მამა-პაპა
თქვენი სულით, თქვენი გულით
სდარაჯობდა, ვით ობობა,
შავი ქსელით გახლართულით!

—

დღე და ღამე მოსვენებას
არ აძლევდნენ ხალხის გმირსა,
აქა, იქა, ჩუმად, ფრთხილად
უმზადებდნენ მას სიკვდილსა!

—

და კიდევაც შეასრულეს
იმათ თვისი საწადელი:
დაჰგა ჩანგი, გასწყდა სიმი,
აღარა სცემს მარჯვე ხელი!

—

თქვენ? თქვენც მათი შვილები ხართ,
მათზე უფრო უარესი,
თქვენც იგივე ობობა ხართ
გასათელი, გასასრესი!

—

თქვენც იმათებრ აგებთ ქსელებს,
ჰყიდით სინდისს, ურცხვად ვაჭრობთ,
არ ასვენებთ ბოროტ ენებს,
რომ ფულები მოინაგროთ!

—

შორს, შორს ჩვენგან, გაგვეცალეთ,
ნუ გვიწამლავთ დღესასწაულს,
წაიღევით ძღვენი უკან,
კარგად ვ'ცნობთ თქვენ ბოროტ გულს!

—

ეგ ღიმილი, სიხარული
ამ ძეგლის წინ აღტაცება
ყალბი არის და სიცრუეა,
ჩვენთან ვეღარ გასაღდება!

—

ძვირფასია ეს დღე ჩვენთვის,
წმინდა არის ეს საფლავი,
ვაშა მგოსანს, ხალხისათვის
იტანჯა და დასდვა თავი!

—

აქ ვართ ყველა, ვისაც გულში
ჩაგვწვდა მისი სიმთა ბგერა,
აქ ვართ ყველა, ვისაც უყვარს
მასთან ერთად ხალხის კერა!

—

მაგრამ თქვენ კი, თქვენ რა გინდათ?!
ან აქ მოსვლა ვით გაბედეთ?
იუდანო, თქვენ ხომ ხელი
მისი სისხლით შეიღებეთ?

—

კრავის სახე მგლის ტყავში.
გიჩანთ ყველა ფარისევლებს,
ვერ დავდგებით თქვენთან ახლო
და ვერც მოგცემთ ძმურად ხელებს!

—

თვით ეს ძეგლი წამებულის
რომ დაგყურებთ ასე ზიზღით
მზად არის, რომ აიშალოს
თვისი წყლული კვლავ მახვილით,

—

და სვავთა ბრბოს მოგასხუროთ,
გადაგბანოთ თვისი სისხლით,
იქნებ მაშინ დაიმალოთ
და გასწითლდეთ თქვენ სირცხვილით!

ი. ევდოშვილი



სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების სიების შედგენა ტფილისის ქალაქის გამგეობაში. სიების გამოქვეყნების წინა დღეს.



ვეზუვის მთიდან ამოხეთქილი ლავა დაეშვა მთის კალთებზედა წალეკა ვენახები, ბაღები.

## სამაისო სიზმარი

(მუშათა ცხოვრებიდან).

(კუსკოვასი).

ტყეში სიმშვიდე იყო, სდუმდაარე მარე. მზის სხივები ზვირთს ზვირთზეუკზავნიდნენ ტყეს, თითქოს სცდილობენ ისარგებლონ ფოთლების გამოუსვლელობითო. ფედორი ხარბად ყლაპავდა ჰაერს და ღიმილით იცქირებოდა გარეშემო, თითქოს სალამს აძლევს თვითვეულს ხეს, თვითვეულ ს გორაკსო.

— რა კარგია აქ, დაშა! რა დაგვრჩენია ქალაქში? ეხლა იქ უკვე მტვრის ბუღი დგას, ფლაშა-ფლუში გააქვს ქალბატონებს კაბებს, აქ-კი... უფ, შენ გენაცვალე, რა სუფთა ჰაერია!

ეტყობოდა, დაშა არ თანაუგრძნობდა ქმარს და ჯერ ისევ გაბუტული იყო

— რისა გეშინიან, შე სულელო?

— არა, რა გაკლია მითხარი. სუფთა ცხოვრება გვაქვს, მუშაობით, თუმცა ბევრს მუშაობ, მაგრამ ტყუილად ხომ არა, ფეიქირებსა და მეშაქრეთ მაინც სჯობხარ. ცოტა რამეს შევინახავდით კიდეც შავის დღისათვის, რომ იქით-აქეთ არ მიგქონდეს ფული და რაღაც წიგნებზე არ აპნევდე.

— ე, დაშა, წიგნები ხომ სინათლეს იძლევა, გონებას უხსნის ადამიანს. წიგნები სულს გმიწყნარებს და ცხოვრებას გაყვარებს, დაშა! ყველაფერს გაგაგებინებს ვინა ხარ შენ, ვინ გარტყია გარეშემო, რა ხდება ქვეყანაზე, როგორ უნდა იცხოვრო, რისთვის უნდა იცხოვრო—ამას სულყველაფერს წიგნიდან შეიტყობ დაშა!

— რაო, როგორ უნდა იცხოვროო? შენ ხომ ქურდიარა ხარ, ხომ არა ლოთობ, შენის ნაოფლარით სცხოვრობ, რაღა გინდა კიდევ?

— მე მარტო ხომ არა, დაშა!

— მარტო მეო! განა მე გთხოვ რასმე?

— არა, შენ არა... აი წეღანა სთქვი, რომ ფეიქრები და მეშაქრეებიო... ისინი განა ადამიანები არ არიან... მერე და როგორი ცხოვრებაა მათი ცხოვრება? კატორღაა, კატორღა! თუ ჩვენ, მათი ამხანაგები, ვინც იმათზე უკეთესად ვსცხოვრობთ, არ დავეხმარებით, ძმურს ხელს არ გავუწევთ საშველად, არ ვეცდებით როგ-

*) იხ. „დამატება“ № 5.



ცეცხლის მფრქვევი მთა ვეზუვია

ოთ გამოვგლიჯოთ იგინი სიღარიბისა და ჯოჯოხეთურის სამუშაოს ბრჭყალებიდან, მაშინ თვითონ ჩვენც ვერაფერს ვერ ვეღირსებით ვერასოდეს. გასაკეთებელი და მისაღწევი ბევრი რამე გვაქვს, დაშა! ჩვენ შეგვიძლია ისე წავიყვანოთ საქმე, რომ ხაზეინებიც აღარ იქნებიან, ჩვენს საქმეებს თვითონ ჩვენ ვაწარმოებთ, ჩვენის შრომით მონაგარი მათ ჯიბეებს როდი-ღა გასტენავს, ჩვენვე მოვიხმართ.

— ხაზეინები აღარ იქნებიანო?.. ჰა.. ჰა... ჰა!.. აი თქვე წვივ-დატრუსულებო, თქვენა! მიმოიხედე ერთი, კუდიანები ხომ არ მოგვდევენ ამ ტყეში, რომ ამისთანა აზრები შეგსვლია თავში. არა, იქნება იმასა ფიქრობთ, რომ თქვენი ხაზეინები თქვენს მაგივრად იმუშავებენ?.. იცინებოდა დაშა. იცინე დაშა, შენ იცინე! მე კი მრწამს სულყველაფერი ეს, მრწამს და სიცოცხლესაც არ დავიშურებ მისთვის. ყველამ უნდა იმუშაოს, დაშა! ფაბრიკა-ქარხნები კერძო პირებისა არ უნდა იყოს, დაშა, იგი მშრომელთა იქნება, მუშა-ხალხისა, ყველა თანასწორი იქნება და მხოლოდ მაშინ დაუდგება ყველა ადამიანს ბედნიერი დრო.

ფედორის სახეს მშვენიერი გამომეტყველება მიეცა, თვალები აენთო, ლოყები გაუწითლდა და წინანდელი დაქანცულობა სითამამესა და იმედზე შეეცვალა. დაშაც გაჩუმდა. ქმარს თავის დღეში არ ულაპარაკნია მასთან გულახდით, მიუხედავად იმისა, რომ აგერ ექვსი თვე გასულიყო კიდეც. ჯვრის წერის შემდეგ დაშას, მართალია, არა სჯეროდა ქმრის ნალაპარაკევი, მაგრამ გამოკამათებასაც, რაღაც ვერა ჰბედავდა: მოინდომებდა ხოლმე შეკამათებას, მაგრამ რაღაც, ღრმა, ძლიერი, რაღაც იდუმალი ძალა ქმრისა შეაყენებდა მას.

— ყველას აგვსხაპავენ ჟანდარმები, აი შენი ბედნიერება... ჩაილაპარაკა ბოლოს დაშამ.



ფერფლის წვიმა ქალაქ ნეაპოლში. ცეცხლმფრქვევი მთა ვეზუვი კვლავ ამოძრავდა და საშინელი უბედურება მიაყენა მიდამოებს.



შეშინებული ხალხი ხატებით დადის უბედურების შესაჩერებლად.



ხალხი უყურებს ვეზუვიდან მონაგდ გახურებულ ლავას.

— აგვსხაპავენ? ასხაპვა მხოლოდ ჩიტებისა შეიძლება და არა ჩვენი, დაშა! ვის შეუძლია ასხაპოს, ბორკილი შეაბას ზღვაში მონავარდე ზვირთებს, ვის შეუძლია, თუნდაც ერთის წუთით, შეაჩეროს მათი ქუხილ-დუღილი? ჩვენ-კი, ჩვენ ზღვის მქუხარე ზვირთები ვართ, დაშა, აბა, თუ ბიჭია დაგვიდგეს ვინმე წინ! ჩვენ თვითონ ავსხაპავთ, ჩვენ თვითონ ჩავახრჩობთ ჩვენს დამბრკოლებელთ, ძალა ჩვენსკენაა, დაშა! გახსოვს, იმ დღეს როგორ შეშინდა დირექტორი, როცა ჩვენ მოთხოვნები წარვუდგინეთ და გაფიცვითაც დავემუქრენით? — ვერ უყურებდი, ხმაც როგორ გამოიცვალა, როგორი ალერსი დაიწყო... ოღონდ დაწყნარდითო და... მართალია, ჯერ იმდენი ძალა არა გვაქს, რომ, რაც საჭიროა მოვითხოვოთ... შენ კი ჯავრობ, ბრაზობ ხოლმე, დაშა; ვინც ჩვენგანი განათლდა გონებით, ვინც შეიგნო თვისი მდგომარეობა, ის, დაშა, თავის დღეში არ დაუბრუნდება ბნელსა და დუხჭირს ცხოვრებას. არა და არა! რაც დღე გადის, მით უფრო ახალ-ახალი

აზრები მებადება თავში და ისეთი დავჯავრიანდები, ისეთი ბოლმა მომაწვება ხოლმე, როცა რაიმე ცუდათ წავა, ანა და წავაგებთ რასმე. მაშინ კი, მაშინ გავფრინდები, ფრთებს გამოვიბამ... არავისი არ გეშინოდეს, არ იყოს ბატონობა ქვეყანაზე... იცოდე მხოლოდ, რა უნდა გააკეთო და როგორ გააკეთო, რა ბედნიერებაა! ახლა კი სინათლეს გვიკეტავენ, არ უშვებენ ჩვენსკენ, ყოველი წიგნი, რომელშიაც სიმართლეა ჩვენს ცხოვრებაზე, ფარულად, ქურდულად უნდა წაიკითხო. გაბოროტდები, მაშ რა მოგივა, ცეცხლი მოგედება გულზე, მზათა ხარ არ დაიშურო არავითარი საშუალება, გაცოფდები სწორედ! არაფრის წინაშე არ შესდგები, კედელს დაანგრევ, ყორეს გაანადგურებ, ზღუდეს დალეწავ დაანგრევ და იქ მონახავ მტერს, იქ მოსთხოვ პასუხის-გებას, იქ გაიგებ მისს ვინაობას!..—გაბრაზებული ამბობდა ფედორი.

ამ დროს ცოლ-ქმარი მიუახლოვდა კიდეც ერთს გორაკს, სადაც ეგდო დიდი ქვა—„ლურჯი ქვა“—როგორც უწოდებდნენ იქაური მუშები. ფედორი ყურადღებით ათვალიერებდა მინდორს და ისაზრებდა რაღაცას.

— რას ათვალიერებ?

— კარგი გორაკია... მოხერხებული...—ჩუმად ჩაიცინა ფედორმა. გორაკის დანახვაზე რაღაც მოაგონდა და დაეჩქარა.

— იცი რა, დაშა! შენ დღეს ნუ გამიჯავრდები... ძლიერ საჭიროა ამხანაგებს მოველაპარაკო... დავიძრათ სახლისაკენ.

დაშა უხალისოდ გაჰყვა უკან, მისს ფიქრს და აზრს უჩვეულს ტვინს ვერ მოენელებინა ქმრის სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები მოსვენებას მაინც არ აძლევდნენ: ისეთი ახალი, ჯერ გაუგონარი იყო იმისთვის ეს სიტყვები, ისეთის სიცხარითა და დაბეჯითებით იყო წარმოთქმული ფედორისაგან, რომ დაშა იძულებული იყო ანგარიში გაეწია მათთვის და არა ერთხელ და ორჯელ გადაებრუნებინა თავში.

მოისმა ხმები მუშებისა. ფედორი გაემართა ერთის ჯგუფისაკენ, რომელსაც თავი მოეყარა ერთს ადგილას და ცხარე ბაასი გაემართათ რაღაცაზე. ა. ღომთათიძე.

(შემდეგი იქნება.)



— მე გთხოვთ პარტიებზე არ ილაპარაკოთ, რადგან საგანი, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ, ბევრს დროსა თხოულობს.




ვერ მოითმინეს, დაიწყეს ლაპარაკი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.